ადრესატი:

ბესიკ ტაბიძე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**31-31213495**
თარიღი: **15/12/2021**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 14 დეკემბერს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

დანართი: სხდომის ოქმი №11– 4(ოთხი) ფურცელი

დასკვნა №11–1 (ერთი) ფურცელი

სარეგისტრაციო - 1 (ერთი) ფურცელი

პატივისცემით,

ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის რიგგარეშე სხდომის

ოქმი №11

ქ. ლანჩხუთი 14.12.2021.

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: ია მოქია, გიორგი ჩახვაძე, გიორგი გოგუაძე, ჯუმბერ ბლაგიძე, სპარტაკ კვაჭაძე და ვლადიმერ ნანაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია** და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი **ლევან ჩხაიძე.**

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-7, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო სხდომის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე მახათაძემ.** მან ისაუბრა წარმოდგენილი საკითხის შესახებ, ხოლო კონკრეტული განმარტებები გააკეთა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საკასო შესრულების ანალიზის შედეგად მიზანშეწონილად ჩაითვალა შემოსავლების (დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში) ცალკეული სახეების კორექტირება, კერძოდ: სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის გეგმა გაიზარდოს 40,0 ათასი ლარით და განისაზღვროს 90,0 ათასი ლარით; არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის გეგმა შემცირდეს 40,0 ათასი ლარით და განისაზღვროს 600,0 ათასი ლარით; ბუნებრივი მოსაკრებლის გეგმა შემცირდეს 67,0 ათასი ლარით და განისაზღვროს 83,0 ათასი ლარით; მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტით, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავლის გეგმა გაიზარდოს 7,0 ათასი ლარით, არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან შემოსავლის გეგმა შემცირდეს 40,0 ათასი ლარით და განისაზღვროს 10,0 ლარით; ჯარიმები სანქციები და საურავებიდან შემოსავლის გეგმა გაიზარდოს 115,0 ათასი ლარით და განისაზღვროს 2862,74 ათასი ლარით. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მარტის №330 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 10 ნოემბრის №1985 განკარგულებით შესული ცვლილებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით დამატებით გამოეყო 850000 ლარი. მან ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 04 თებერვლის 147 განკარგულების

საფუძველზე 96400,60 ლარი მიიმართოს საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებისთვის. ა(ა)იპ-ების მიერ წარმოდგენილი წერილების განხილვის შედეგად უნდა განხორციელდეს: ა(ა)იპ „კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის“ წყლის სისტემის ექსპლოატაციის (ორგ. კოდი 02 02 02) ოფისის მუხლის 2000 ლარით, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის 3500 ლარით, მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობის (ორგ. კოდი 03 02) შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურების 8500 ლარით, დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის (ორგ. კოდი 03 01) არაფინანსური აქტივების მუხლის 4000 ლარით, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა პატრონობის მუხლის 18400 ლარით, სასაფლაოების მოვლა პატრონობის (ორგ. კოდი 02 06 05) ოფისის მუხლის 2400 ლარით, მუნიციპალური ტრანსპორტის (ორგ. კოდი 02 07) შტატით მომუშავეთა ანაზღაურების 5500 ლარით, სადღესასწაულო ღონისძიებების (ორგ. კოდი 02 06 03) არაფინანსური აქტივების მუხლის 5000 ლარით ხარჯების შემცირების შედეგად გაიზარდოს მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობის შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება 1500 ლარით, სასაფლაოების მოვლა პატრონობის (ორგ. კოდი 02 06 05) შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 1400 ლარით, დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის (ორგ. კოდი 03 01) შტატით მომუშავეთა ანაზღაურება 4000 ლარით, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 17200 ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის და მოვლა შენახვის (ორგ. კოდი 02030101) შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურება 3200 ლარით, ოფისის მუხლი 1400 ლარით, სხვა დანარჩენი საქონელი მომსახურების მუხლი 3500 ლარით, სადღესასწაულო ღონისძიებების ოფისის მუხლი 7300 ლარით, სხვა დანარჩენი გადაამოწმეთ: დოკუმენტ.მუნიციპალ.გოვ.გე გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი საქონელი და მომსახურების მუხლი 9800 ლარით. ა(ა)იპ ლანჩხუთის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ შრომის ანაზღაურების მუხლის 5000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 5000 ლარით. ა(ა)იპ „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის 2452 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 2452 ლარით. ამასთან, დამატებით გამოეყოს 15000 ლარი საქონელი და მომსახურების მუხლში საახალწლო ღონისძიების ორგანიზების ჩატარებისათვის. ფინანსური უზრუნველყოფა განხორციელდეს ჯარიმების, სანქციების და საურავების გეგმის 15000 ლარით ზრდის ხარჯზე. ა(ა)იპ „საფეხბურთო სკოლას“ სხვა ხარჯების მუხლი შეუმცირდეს 3650 ლარით, შრომის ანაზღაურების მუხლის 13800 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 1200 ლარით, სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი 16250 ლარით. მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური უზრუნველყოფის 5000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საკრებულოს სხვა ხარჯების მუხლი 5000 ლარით. (სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისათვის) სოციალური პროგრამების შესრულების მიმდინარეობის ანალიზის შედეგად მიზანშეწონილია განხორციელდეს პროგრამებს შორის შიდა მონაცვლეობა, კერძოდ: „შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამის“ (პროგრამის კოდი 06 02 16) 10000 (ათიათასი) ლარით, „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის“ (პროგრამის კოდი 06 02 02) 3600 (სამიათასექვსასი) ლარით, „ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამის “ (პროგრამის კოდი 06 02 08) 3900 (სამიათასცხრაასი) ლარით, „ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამის“(პროგრამის კოდი 06 02 01) 9570 (ცხრაათასხუთასსამოცდაათი) ლარით, „მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის“(პროგრამის კოდი 06 02 09) 8300 (რვაათასსამასი) ლარით, „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამის”(პროგრამის კოდი 06 02 17) 8300 (რვაათასსამასი) ლარით „,გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობის პროგრამის“ (პროგრამის კოდი 06 02 18) 2000(ორიათასი) ლარით, „კოვიდ 19-ით გარდაცვლილ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურეობის პროგრამის” (პროგრამის კოდი 06 02 25) 3000 (სამიათასი) ლარით, „აუტისტური

სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამის (პროგრამის კოდი 06 02 23) 15730 (თხუთმეტიათასშვიდასოცდაათი) ლარით შემცირების ხარჯზე-4000 (ოთხიათასი) ლარით გაიზარდოს „კოვიდ 19-ით ინფიცირებულთა და მასთან კონტაქტში მყოფ პირთა ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა (პროგრამის კოდი 06 02 24) ; 2000 (ორიათასი) ლარით გაიზარდოს „მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა" (პროგრამის კოდი 06 02 15) ; 1000 (ათასი)ლარით „.უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურეობის პროგრამა"(პროგრამის კოდი 06 02 13); 2000 (ორიათასი) ლარით „მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა"(პროგრამის კოდი 06 02 20); 1500(ათასხუთასი) ლარით „მძიმე საცხოვრებელ პირობებში უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა"(პროგრამის კოდი 06 02 12); 40 000(ორმოციათასი) ლარით, „სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა" (პროგრამის კოდი 06 02 03); 14300 (თოთხმეტიათასსამასი) ლარით გაიზარდოს „ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა" (პროგრამის კოდი 06 02 14) კერძოდ, 13900 (ცამეტი ათას ცხრაასი) ლარი მიიმართოს „სადღესასწაულო და ღირშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით საკვები პროდუქტებისა და ტკბილეულის შეძენად სოციალურად დაუცველი უმწეო ოჯახებისათვის ქვეპროგრამაზე". მუნიციპალიტეტის მერიის არაფინანსური აქტივების 32000 ლარის შემცირების ხარზე გაიზარდოს მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი 8 ა(ა)იპ-ის საქონელი და მომსახურების მუხლი ჯამში 32000 ლარით (თითოეული ა(ა)იპ-ის 4000 ლარი) საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების სრული დარიცხვის მეთოდის დანერგვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნით ბუღალტრული პროგრამების შეძენისათვის.

წარმოდგენილ საკითხს თან ერთვოდა მიმდინარე წლის 22 სექტემბერს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების ჩამონათვალი და მათი დაფინანსება. კერძოდ: აცანის ადმინისტრაციული შენობის სახურავის რეაბილიტაციის სავარაუდო ღირებულება შეადგენს 127104 ლარს, სუფსის კულტურის სახლის სახურავის რეაბილიტაცია - 89967 ლარს, სოფელ გრიგოლეთში სასტუმრო „ლაშთართან" ნამატი წყლის კოლექტორის მოწყობა - 109952 ლარს, თბილისის ქუჩაზე მრავალბინიანი სახლის გადახურვა - 174913 ლარი, სუფსაში მეხის დაცემის შედეგად დამწვარი სახლის აშენება - 93064 ლარი, ძლიერი წვიმის შედეგად დაზიანებული სახლების სახურავებისთვის თუნუქის შეძენა - 130000 ლარი, ძლიერი წვიმის შედეგად დაზიანებული სახლების სახურავებისთვის ხის მასალის შეძენა - 25000 ლარი და ძლიერი წვიმის შედეგად ლანჩხუთის ადმინისტრაციულ ერთეულში დაზიანებული გზების მოხრეშვითი სამუშაოები- 100000 ლარი, რაც ჯამში შეადგენს 850000 ლარს.

ჯუმბერ ბლაგიძემ აღნიშნა, რომ სოფელ სუფსაში მაცხოვრებელი გივი მითაიშვილის სახლი დაიწვა და ის დაინტერესდა თუ რატომ არ იყო აღნიშნული პიროვნების სახლი ჩასმული წარმოდგენილი ობიექტების ჩამონათვალში, რაზეც **ია მოქიამ** გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ გივი მითაიშვილის სახლი არ დამწვარა სტიქიის შედეგად და აღნიშნულიდან გამომდინარე გამოყოფილი თანხის ფარგლებში ვერ მოხდებოდა მისი რეაბილიტაცია. მან ასევე განმარტა, რომ ზემოხსენებული პიროვნება ამზადებს დოკუმენტაციას, რომლის წარმოდგენის შემდგომაც საკითხზე იმსჯელებს მუნიციპალიტეტის მერია.

ჯუმბერ ბლაგიძემ ასევე გამოთქვა უკმაყოფილება და აღნიშნა, რომ სუფსის კულტურის სახლის კედლები არის ავარიულ მდგომარეობაში და გარდა სახურავის შეცვლისა საჭიროებს სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას. **ლევან ჩხაიძემ** განმარტა, რომ ამ ეტაპზე ხდება მხოლოდ სუფსის კულტურის სახლის ჭერისა და სახურავის რეაბილიტაცია, რომლის დაზიანებაც მოხდა სტიქიის შედეგად.

გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი სამუშაოების შესასრულებლად ტენდერები უკვე გამოცხადებულია და თანხა საკრებულოს მიერ ჯერ დამტკიცებული არ არის, რაზეც **როლანდ ლაშხიამ** გააკეთა განმარტება და აღნიშნა შესაბამისი კანონი იძლევა იმის საშუალებას, რომ მთავრობის მიერ განკარგულების დამტკიცებისთანავე მოხდეს ტენდერის გამოცხადება.

გიორგი გოგუაძემ აღნიშნა, რომ რამდენიმე ოჯახმა მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილი თუნუქი გაყიდა და სახლი არ გადახურა. აღნიშნულიდან გამომდინარე სივრცითი დაგეგმარებისა და

ინფრასტრუქტურის სამსახურისგან მოითხოვა სახელობითი სია სახლის მეპატრონეების, ვისთვისაც ხდებოდა თუნუქის შეძენა, რაზეც ლევან ჩხაიძისგან თანხმობა მიიღო.

ჯუმბერ ბლაგიძემ აღნიშნა, რომ სოფელ გრიგოლეთში სასაფლაოდან სუფსის ტერმინალთან ჩასასვლელი გზა სისტემატიურად იტბორება და საჭიროა შესაბამისი ზომების მიღება. **ლევან ჩხაიძემ** განმარტა, რომ გზის დატბორვა ძირითადად გამოწვეულია იქედან გამომდინარე, რომ სანიაღვრე არხები არის ამოვსებული და არ ატარებს წყალს. ამ ეტაპზე მუნიციპალიტეტს არ გააჩნია პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს სანიაღვრე არხების გაწმენდას. აუცილებელია მოსახლეობამ თავად იზრუნოს საკუთარი ეზოების წინ არსებული სანიაღვრე არხების გაწმენდაზე.

გიორგი გოგუაძემ გამოთქვა უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ ბიუჯეტში არ ხდება ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლის სახით თანხის შემოტანა, როდესაც სოფელ აკეთიდან და სოფელ შრომისუბნიდან გატანილია 1800000 კუბური მეტრი ინერტული მასალა, რომლისაგანაც მეპატრონეებს აქვთ ვალდებულება ბიუჯეტში 360000 ლარის შემოტანის. აქ არის მერის და მერიის პასუხისმგებლობა და აუცილებელია ამ ყველაფრის გაკონტროლება.

ალექსანდრე მახათაძემ აღნიშნა, რომ ოფიციალური ლიცენზიის არსებობის შემთხვევაში გადასახადის ვალდებულება ეკისრება ნებისმიერ სუბიექტს. კონტროლს ინერტული მასალის ამოღებაზე ახორციელებს გარემოს დაცვის ეროვნული სააგენტო და საგადასახადო ნაწილში კი შემოსავლების სამსახური.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე - 5, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო - 2 (გიორგი გოგუაძე, ჯუმბერ ბლაგიძე).

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე: **ალექსანდრე მახათაძე**

ქ. ლანჩხუთი 14.12.2021 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №11

2021 წლის 14 დეკემბერს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N 21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე : **ალექსანდრე მახათაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

14.12.2021 წელი
11:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	10 50	[signature]
2	ია მოქია	10:58	[signature]
3	გიორგი ჩახვაძე	10 55	[signature]
4	სპარტაკ კვაჭაძე	10 55	[signature]
5	კახა თედორაძე	[illegible]	[signature]
6	ვლადიმერ ნანაძე	10 00	[signature]
7	გიორგი გოგუაძე	10 55	[signature]
8	ჯუმბერ ბლაგიძე	10:55	[signature]